



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა

ბაკალავრიატი

შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი(ებ)ი - 03.11.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი - 20.11.2023

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	15
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	19
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	21
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	26

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	211359448

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხაბეიშვილი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი წანაწყენიშვილი, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Architecture Bachelor's Program
უმაღლესი განათლების საფეხური	I (ბაკალავრიატი)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	არქიტექტურის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0731 არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება / Architecture and Town Planning (0731.1.1 არქიტექტურა / Architecture)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №1 10.01.2018
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	კონკურსი - შემოქმედებითი ტური

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის (შემდგომში - შესაბამისობის) შეფასების მიზნით შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის (შემდგომში - დაწესებულება) მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა“ (შემდგომში - პროგრამა) 2018 წელს მიენიჭა აკრედიტაცია (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №1, 10/01/2018).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში უცვლელი დარჩა პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია. ასევე შინარსობრივი ცვლილება არ განუცდია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. მოხდა მხოლოდ სწავლის შედეგების ფორმულირება აწმყო დროში აქტიური ფორმის ზმნების გამოყენებით. ასევე, უცვლელი დარჩა პროგრამის სტრუქტურა.

წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია მსოფლიოში არსებული 5 მოწინავე საგანმანათლებლო დაწესებულების არქიტექტურის პროგრამების გათვალისწინებით:

- Massachusetts Institute of Technology (MIT)
- UCL (University College London, Bartlett School of Architecture)
- ETH Zurich
- Politecnico di Milan
- Washington University in St. Louis (Sam Fox School of Design & Visual Arts).

წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის კურიკულუმის თანახმად, პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია:

- პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი;
- პროგრამის სტრუქტურა - ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტებს კურიკულუმის სხვადასხვა ბლოკიდან (185 კრედიტი) და თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევით კურსებს. პროგრამის მოცულობა (240 კრედიტი) ნაწილდება პროგრამის სტრუქტურის შემდეგ კომპონენტებზე:
 - არქიტექტურის ძირითადი განათლება - 145 კრედიტი;
 - არქიტექტურის ზოგადი განათლება - 4 კრედიტი;
 - არქიტექტურის საბაზისო განათლება - 21 კრედიტი;
 - პრაქტიკული განათლება - 5 კრედიტი;
 - საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება - 53 კრედიტი;
 - არჩევითი საგნები - 12 კრედიტი.
- პროგრამის სწავლების ენა - ქართული;
- სწავლების ხანგრძლივობა - 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი).

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილეს ბრძანებით (MES 8 23 0001313000, 05/10/2023) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (ნინო ხაბეიშვილი, თავმჯდომარე; გიორგი წანაწყენიშვილი, წევრი) დაევალა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა“ - საქართველოს

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა. ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც ექსპერტებმა შეისწავლეს დამოუკიდებლად, შემდგომ კი მოხდა მოსაზრებების და მიგნებების ურთიერთგაცვლა, შეფასების შედეგების საბოლოო შეჯერება და წინამდებარე დასკვნის ჩამოყალიბება.

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასებისათვის განხილულია პირველი და მეორე სტანდარტები სრულად და მეოთხე სტანდარტის 4.1 ქვესტანდარტი.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

I სტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

II სტანდარტი (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

- 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 2.4. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

IV სტანდარტი (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

კერძოდ:

- 4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

▪ რეკომენდაციები

1.2.

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის მე-6 შედეგში აისახოს, რომ კურსდამთავრებულს შენობის დაპროექტება და არქიტექტურული პროექტირებისათვის საჭირო კვლევის განხორციელება შეუძლია წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

4.1.

- პერსონალის პირადი მონაცემების შესწავლისას გამოვლინდა, რომ რიგ შემთხვევებში CV-ის მიხედვით არ დასტურდება პირის თანამშრომლობა დაწესებულებასთან (მაგ. გიორგი შუკაკიძე, რამაზ კიკნაძე, ბესიკ ნამჩევაძე, თემურ კუპრავა და სხვ.); ასევე ზოგ შემთხვევაში პერსონალის CV წარმოდგენილია მხოლოდ ინგლისურ ენაზე (მაგ. ელენა დარჯანია, მანანა უჩანეიშვილი, ლადო შონია და სხვ.). ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია მოწესრიგდეს განმახორციელებელი პირების დოკუმენტაცია.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

- 1.2 ქვესტანდარტთან გაცემლ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს. აღნიშნავს, რომ პროგრამის სწავლის შედეგი „კურსდამთავრებულს შეუძლია შენობის დაპროექტება, საპროექტო ეტაპების დაგეგმვა, არქიტექტურული პროექტირებისათვის საჭირო კვლევის განხორციელება და არქიტექტურული პროექტირების დაგეგმვა და მენეჯმენტი; შეუძლია გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს საკანონმდებლო ცოდნის არქიტექტურული საქმიანობისას გამოყენება და შენობის გარემოს სისტემების მართვა“ - არსებული ფორმულირებით სავსებით შესაბამება არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელსა და ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს.

არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება ეყრდნობა უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესში მოყვანილ გარემოებებს - „დარგობრივი მახასიათებელი არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც სწავლის სფეროს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმუმს“ და სტანდარტით განსაზღვრულ სწავლის შედეგში აისახება „კონკრეტულ სწავლის სფეროში კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო მინიმალური სტანდარტი, რომელიც არ ამოწურავს ამ სფეროსთან დაკავშირებულ სწავლის შედეგებს“, ასევე ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს სახელმძღვანელოში მითითებულ განმარტებას, კერძოდ „ჩარჩო იძლევა დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალურ ზღვარს და არ არის ამომწურავი“.

ამასთან დაკავირებით ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დაწესებულება უფლებამოსილია პროგრამაში თავად განსაზღვროს სწავლის შედეგები და მათი ფორმულირება, მაგრამ ამავე დროს ბაკალავრიატში მისაღები კომპეტენცია არ უნდა გაუთანაბრდეს მაგისტრატურის დონის კომპეტენციას.

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო

დონე 6	კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება <u>წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</u>
დონე 7	უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მიება ან/და <u>კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება</u> , აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით.

არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი

ბაკალავრიატი	- საპროექტო დავალებისთვის შეგროვილი ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით და კვლევის მეთოდების გამოყენებით, წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამუშავებს და დოკუმენტურად აფორმებს არქიტექტურულ პროექტს.
მაგისტრატურა	- დამოუკიდებლად აყალიბებს საპროექტო დავალებას და უახლესი მეთოდების, მიდგომების გათვალისწინებით, ირჩევს დაპროექტების ოპტიმალურ ხერხებსა და საშუალებებს;

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

	- მართავს არქიტექტურულ პროექტს, აფასებს პროექტის ეკონომიკურ, ფინანსურ და სამართლებრივ გარემოს;
--	--

უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესი

მუხლი 4. პუნქტი 5, ა)	სწავლის შედეგებში აისახება: სწავლის შედეგები, რომელიც განისაზღვრება უმაღლესი განათლების კონკრეტული საფეხურის და დონის გათვალისწინებით. იგი შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამის დონის აღმწერთან.
--------------------------	---

ზემოთ მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით 1.2. რეკომენდაცია რჩება უცვლელად.

- დაწესებულებამ არ გაიზიარა 1.4 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რჩევა 2 სასწავლო კურსისთვის სემესტრის შეცვლის თაობაზე. არგუმენტირებული პასუხის თანახმად „შენობის კონსტრუქციებისა და შენობის ტექნოლოგიების სასწავლო კურსების არსებული სემესტრული განაწილებები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის ოპტიმალურ შესაძლებლობას“ და აღნიშნავს, რომ პროგრამის სემესტრული გეგმა აგებულია წინასწარ განსაზღვრული ლოგიკის მიხედვით, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის ეფექტიანობას.

იმის გათვალისწინებით, რომ რჩევა არ ატარებს სავალდებულო ხასიათს, დაწესებულებას კი ამ საკითხზე აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია, აღნიშნული რჩევა ამოღებულ იქნა აღწერითი ნაწილიდან და რჩევათა ნუსხიდან.

- თვითშეფასებაში მოყვანილი ადამიანური რესურსის რაოდენობრივი მაჩვენებლისა და პროგრამაში ჩართული პერსონალის შესახებ ინსტიტუციის მიერ დამატებით წარმოდგენილი მონაცემების სხვადასხვაობასთან დაკავშირებით, 4.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში გაცემულ რჩევაზე დაწესებულებამ აღნიშნა, რომ თვითშეფასების ანგარიში ცენტრში წარდგენილ იყო 2022 წლის 28 ნოემბერს, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოთხოვნილი დამატებითი მონაცემები 2023 წლის 26 ოქტომბერს. განვილი პერიოდში გარკვეული ცვლილებები განხორციელდა აკადემიური პერსონალის კუთხით, რამაც ლოგიკურად გამოიწვია ადამიანური რესურსის რაოდენობრივი მაჩვენებლის ცვლილება. ამასთან იმის გამო, რომ თვითშეფასების ანგარიში ერთჯერადად უკვე წარედგინა ცენტრს, შეუსაბამობის გამოსწორება თვითშეფასების ანგარიშში ამ ეტაპზე შეუძლებელია.

ექსპერტთა ჯგუფისთვის მისაღებია დაწესებულების არგუმენტი. შესაბამისად, აღნიშნული რჩევა ამოღებულ იქნა აღწერითი ნაწილიდან და რჩევათა ნუსხიდან.

- 4.1 ქვესტანდარტთან მიმართებაში, განმახორციელებელი პირების დოკუმენტაციის მოწესრიგებასთან დაკავშირებით გაცემული რჩევა დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა და დამატებით წარმოადგინა შესაბამისი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით მოხდა რჩევის დაკორექტირება (ამოღებულ იქნა ჩანაწერი „ასევე ზოგ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი განმახორციელებელი პირის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი (მაგ. სალომე ბერეგივიძე, ირინა დიხამინჯია, ლევან სიხარულიძე, თამთა სულავა და სხვ.)“).

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა“ მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, შეესაბამება სწავლის სფეროს, ბაკალავრიატის საფეხურსა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. კერძოდ, პროგრამის მიზანია:

- კურსდამთავრებულს მისცეს ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა არქიტექტურაში; სტუდენტმა კრიტიკულად გაიაზროს არქიტექტურაში არსებული მიმდინარეობები, შეძლოს არქიტექტურაში მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.
- კურსდამთავრებულს შეეძლოს თანამედროვე ქალაქის წინაშე მდგარი აქტუალური პრობლემების გააზრება და პრობლემის მოგვარების სხვადასხვა ალტერნატივის შეთავაზება.
- კურსდამთავრებულს შეეძლოს კვლევის, კვლევაზე დაფუძნებული შენობის არქიტექტურის პროექტირების და არქიტექტურული პროექტირების მენეჯმენტის უნარების განვითარება.
- კურსდამთავრებული ფლობდეს არქიტექტურული ნამუშევრის გამოხატვის სხვადასხვა პროგრამას და ტექნიკას, რაც ასე აუცილებელია არქიტექტურული იდეის სწორად გადმოსაცემად.

პროგრამის მიზნებში ცხადად იკითხება თუ რა კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, რაც პროგრამაში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში:

1. კურსდამთავრებული იაზრებს თუ რა არის ბუნება, საზოგადოება, ადამიანი და ხელოვნება; შეუძლია რაოდენობრივი აზროვნება; ფლობს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო მრავალმხრივ საბაზისო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, რაც შეთავაზებულია საუნივერსიტეტო ზოგადი განათლების მოდულით; იღებს მორალური ღირებულებების საფუძველზე ეთიკურ გადაწყვეტილებებს და აცნობიერებს სამყაროს და საზოგადოების მრავალფეროვნებას.
2. კურსდამთავრებული აცნობიერებს კომპლექსურ საკითხებს არქიტექტურაში, მშენებლობასა და ქალაქგეგმარებაში.
3. კურსდამთავრებულს აქვს არქიტექტურის სფეროს ფართო ცოდნა, რაც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას.
4. კურსდამთავრებულს აქვს არქიტექტურის ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესახებ ცოდნა; ცალკეული ეპოქებისა და რეგიონების/ქვეყნების (მაგ.: ახლო აღმოსავლეთი, საქართველო, თანამედროვე დასავლეთ ევროპა და ამერიკა, აღორძინების ხანა, შუა საუკუნეები) კულტურული მემკვიდრეობის, ასევე არქიტექტურული ნამუშევრების/ნიმუშების მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების ძირითადი კრიტერიუმებისა და მახასიათებლების შესახებ ცოდნა; საქართველოს ურბანული განვითარების ძირითადი ტენდენციების და გლობალური ურბანული განვითარების ტენდენციებთან მათი მიმართების შესახებ ცოდნა; დარგის საფუძვლებისა და მახასიათებლების შესახებ ცოდნა; არქიტექტურული იდეების გამოხატვის სხვადასხვა ტექნიკური მეთოდების შესახებ ცოდნა; შენობის არქიტექტურული პროექტირებისა და პროექტირების მენეჯმენტისათვის აუცილებელი ასპექტების, გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს საკანონმდებლო საფუძვლების, პროექტირებისათვის აუცილებელი კვლევის მეთოდების შესახებ ცოდნა.
5. კურსდამთავრებულს გაცნობიერებული აქვს სივრცითი, მატერიალური და კონცეპტუალური გამოწვევები არქიტექტურაში.
6. კურსდამთავრებულს შეუძლია შენობის დაპროექტება, საპროექტო ეტაპების დაგეგმვა, არქიტექტურული პროექტირებისათვის საჭირო კვლევის განხორციელება და არქიტექტურული პროექტირების დაგეგმვა და მენეჯმენტი; შეუძლია გეგმარებითი და სამშენებლო სფეროს საკანონმდებლო ცოდნის არქიტექტურული საქმიანობისას გამოყენება და შენობის გარემოს სისტემების მართვა.

7. კურსდამთავრებულს შეუძლია არქიტექტურული იდეების გამოხატვის ტექნიკებით გადმოცემა როგორც ანალოგურ, ისე ციფრულ ფორმატში; შეუძლია არქიტექტურული პროექტის გამოფენისთვის მომზადება და გამოფენის ორგანიზება.
8. კურსდამთავრებულს შეუძლია არქიტექტურული სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, შეგროვებული ინფორმაციის ანალიზზე დაყრდნობით არქიტექტურული პროექტის დამუშავება; ასევე, შეუძლია განყენებული მონაცემებისა და სიტუაციების ანალიზი სათანადო მეთოდების გამოყენებით და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.
9. კურსდამთავრებულს შეუძლია იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისთვის ინფორმაციის ზეპირად გადაცემა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.
10. კურსდამთავრებულს აქვს სფეროსთვის დამახასიათებელი საკითხების ირგვლივ დებატებში, დისკუსიებში და საჯარო განხილვებში მონაწილეობის უნარი; წერითი და ზეპირი პრეზენტაციის უნარი ქართულ და ინგლისურ ენებზე; აქვს გუნდური მუშაობის უნარი.
11. კურსდამთავრებული წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, პროექტში ერთდროულად ითვალისწინებს და ასახავს კონსტრუქციების, ტექნოლოგიების, მასალების ტექნიკურ, ესთეტიკურ და საექსპლუატაციო თვისებებს, ასევე სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ტექნიკურ და უსაფრთხოების სისტემებს.
12. კურსდამთავრებულს აქვს სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი; შეძენილი ცოდნის მუდმივი განახლებისა და ცვალებად ინფორმაციასთან ინტეგრირების უნარი; არქიტექტურულ სფეროში მიმდინარე სიახლეებს მოძიების და გაცნობის უნარი.
13. კურსდამთავრებულს შეუძლია მონაწილეობის მიღება არქიტექტურულ სფეროში ღირებულებების ფორმირების პროცესში და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა. კურსდამთავრებული აცნობიერებს სოციალურ-კულტურულ, ქალაქმშენებლობით, არქიტექტურულ ფასეულობებს და კონტექსტებს; კურსდამთავრებულს არქიტექტურული საქმიანობისას აქვს განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი; შეუძლია განსხვავებული აზრისა და შეხედულების პატივისცემა.

პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან, ასევე მეტწილად შესაბამისობაშია არქიტექტურის დარგობრივ მახასიათებელთან. თუმცა ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ პროგრამის სწავლის შედეგების არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან მეტად დაახლოების მიზნით მე-6 შედეგში უნდა აისახოს, რომ კურსდამთავრებულს შენობის დაპროექტება და არქიტექტურული პროექტირებისათვის საჭირო კვლევის განხორციელება შეუძლია წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- არქიტექტურის დარგობრივი მახასიათებელი

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის სწავლის მე-6 შედეგში აისახოს, რომ კურსდამთავრებულს შენობის დაპროექტება და არქიტექტურული პროექტირებისათვის საჭირო კვლევის განხორციელება შეუძლია წინასწარგანსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება ორი ძირითადი მიდგომა: პირდაპირი და არაპირდაპირი გაზომვის მეთოდები. არაპირდაპირი გაზომვის მეთოდი გულისხმობს უკუკავშირის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას: სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას და ამ შედეგების ანალიზის გზით პროგრამაში დასახული სწავლის შედეგების გაზომვის და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებას. კონკრეტული სასწავლო კურსის ფარგლებში პირდაპირი გაზომვა ხდება ცოდნის შემოწმების სხვადასხვა ფორმებით: სტუდენტის ლაბორატორიული თუ სხვა სახის აქტივობების შემოწმებით.

დაწესებულებას არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდის მექანიზმების განსახორციელებლად შედგენილი აქვს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. შესრულების ინდიკატორები შემუშავებულია სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის, სადაც ნაჩვენებია რომელი სასწავლო კურსებით მიიღწევა და რომელი სასწავლო კურსები იქნება გამოყენებული მონაცემთა შესაგროვებლად შესაბამისი/რელევანტური შესრულების ინდიკატორისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგების შესრულების ინდიკატორების გაზომვა ხდება თითოეული სასწავლო კურსში არსებული სილაბუსის მიხედვით, სადაც მოცემულია შეფასების სისტემა მრავალფეროვანი კომპონენტებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მე-3 ბრძანების თანახმად და რომლის საშუალებითაც ლექტორი ადგენს ცოდნის შემოწმების ფორმებს და სასწავლო კურსში ზომავს მიღწეულ სწავლის შედეგს. სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები მოიცავს ისეთ ცოდნის შემოწმების ფორმებს როგორცაა: ქვიზები, ესეები, პროექტები, დავალებები და ა.შ. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შესრულების ინდიკატორების დახმარებით მიმდინარეობს რვა სემესტრის განმავლობაში. შესრულების ინდიკატორების მიღწევის გაზომვა ხდება სასწავლო კურსებში მოცემული შეფასების სისტემის მეშვეობით და კუმულატიურად გვიჩვენებს მიღწეულია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი. საგნობრივი ცოდნის გამოცდა და შეფასების სხვა კომპონენტი მორგებულია კონკრეტული შეფასების ინდიკატორებს, რომლებიც განსაზღვრულია თითოეული სწავლის შედეგის მიხედვით. განხორციელების ინდიკატორების შესრულება იზომება შემდეგი კრიტერიუმებით, რომელზეც გათვალისწინებულია სამიზნე ნიშნულები თითოეულ ინდიკატორზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- თვითშეფასების ანგარიშის დანართები 1, 2
- პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევის კომპონენტი

- სწავლის შედეგების შეფასების გეგმა
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სტრუქტურა ასახულია პროგრამის კურიკულუმში და სემესტრულ გეგმაში, სადაც მითითებულია სწავლების სემესტრი, პროგრამის კომპონენტების (საგნების) დასახელებები, მოცულობა კრედიტებში, სტუდენტის დატვირთვა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კომპონენტებისაგან. პროგრამის სტრუქტურაში (240 კრედიტის ფარგლებში) მოიაზრება შემდეგი კომპონენტები:

- არქიტექტურის ზოგადი განათლება – 4 კრედიტი;
- არქიტექტურის საბაზისო განათლება - 21 კრედიტი;
- არქიტექტურის ძირითადი განათლება - 145 კრედიტი;
- პრაქტიკული განათლება – 5 კრედიტი;
- საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება – 53 კრედიტი;
- არჩევითი საგნები - 12 კრედიტი.

პროგრამის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის კურიკულუმი
- პროგრამის სემესტრული გეგმა
- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის კომპონენტების (საგნების) თავისებურებები (კომპონენტის დასახელება, კოდი, აკადემიური წელი, სემესტრი, კომპონენტის ტიპი (ძირითადი/არჩევითი), მოცულობა კრედიტებში, განმახორციელებლის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, პრერეკვიზიტი, კურსის აღწერა, სწავლის მიზანი, სწავლის შედეგები, სწავლების და სწავლის მეთოდები, შეფასების სისტემა, აუცილებელი მასალა (ლიტერატურა), კალენდარული გეგმა (კვირების და საათების მიხედვით გაწერილი კურსის შინაარსი და სწავლების ფორმატი), დამატებითი მოთხოვნები) მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე ძირითადი სფეროს საგანთა შინაარსი, სწავლის შედეგები, ასევე ამ საგანთა სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის კომპონენტების სილაბუსები

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამაში მითითებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები. კერძოდ, პროგრამაზე მიღების წინაპირობა არის - ერთიანი ეროვნული გამოცდები და ასევე კონკურსი - შემოქმედებითი ტური, რაც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის. კონკურსის - შემოქმედებითი ტურის ჩატარების წესი მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.freeuni.edu.ge. ასევე პროგრამაში დეტალურად არის გაწერილი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე და მობილობით პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შესაძლებლობა.

ზემოთ მითითებული გარემოებებით უზრუნველყოფილია პროგრამის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა. არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის შესწავლის და დაგეგმილი შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში

- დაწესებულების ვებგვერდი www.freeuni.edu.ge

რეკომენდაციები:

- -

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- -

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

